პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 140 (19881) ხუთშაბათი, 18 ივნისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სახ. სახ. რესპუბ.

ჩაი—87

მეჩაიეთა დამკვრელური დღეები

აბაშაში შექმნილი „კომუნისტის“ საგუშაგო გვატყობინებს, რომ დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონის მეჩაიეებმა დამკვრელური დღეები გამოაცხადეს დევიზით „ხვალ მეტი ნედლეული, ვიდრე დღეს, არც ერთი დუყი მოუკრეფავი არ უნდა დარჩეს. ვებრძოლოთ დანაკარგებს, წუნს, უხარისხობას.“

ახლა, რომელი რაიონის ჩაის პლანტაციებსაც უნდა ეწვიოთ, ყველგან იგრძნობა შრომა, დარაზმულობა, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობა. ჩაი იკრიფება ხარისხოვნად, ტექნოლოგიური პროცესების დაცვით. მეჩაიეებს ყოველგვარი პირობები აქვთ შექმნილი ნორმალური შრომისა და დასვენებისათვის. კვების ბლოკები თვით პლანტაციებშია მოწყობილი, არც გამაგრილებელი წყლები აკლიათ. მოკრეფილი ჩაი დროულად გადაამვთ გადამმუშავებელ ფაბრიკებში, არც ფაბრიკების მშრომელები არიან გულხელდაკრეფილი. მათაც დღე-ღამის მთელი ციკლით უხდებათ შრომა, რომ მეჩაიეთა ნაჯაფი სრულფასოვნად გადაამუშაონ.

ყოჩაღობენ რესპუბლიკაში ჩაის ყველაზე დიდი, მახარაძის რაიონის მეჩაიეები, რომლებიც სეზონში 105.952 ტონა ნედლეულს ამზადებენ. აქ ყოველდღიურად 1200 ტონამდე ხარისხოვან ჩაის ფოთოლს კრეფენ. ეს იმიტომაც, რომ წლეულს სეზონისათვის პლანტაციები აგროტექნიკური წესების სრული დაცვით დამუშავდა. მართალია, ამორტიზებული პლანტაციები აქ ბევრია, მაგრამ მეჩაიეთა გმირული შრომა იმაზე მიგვანიშნებს, რომ წლის დავალება უთუოდ შესრულდება. უკვე მოკრეფილია 14.420 ტონა ფოთოლი, თუმცა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ჯერ ნაკლები ნედლეულია მიღებული.

77.765 ტონა ჩაისათვის იბრძვიან ზუგდიდელები. შარშანდელთან შედარებით წლეულს 1900 ტონით მეტი, ანუ 15.696 ტონა ნედლეულია დამზადებული. სიახლე, ორგანიზებულობა, მონდომება, საიუბილეო წლის დავალების უთუოდ შესრულება, — აი ამ გრძნობით მუშაობენ ლანჩხუთელი მეჩაიეები, ■ შედეგმაც გაამართლა. შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით რაიონში მოკრეფილია 1.400 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ჩოხატაურელი მეჩაიეები საგანგებოდ მოემზადნენ ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის მაღალორგანიზებულად წარმართვისათვის. მიუხედავად ჭირვეული ამინდებისა, ისინი ყოველდღიურად აძლიერებენ კრეფის ტემპს.

ახლა ის დროა, როცა მეჩაიეებს საშუალება აქვთ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების შარშანდელ დონეს გაუთანაბრდნენ. ამაზე მეტყველებს 16 ივნისის ცნობები. მოკრეფილია 112.810 ტონა ჩაის ფოთოლი, შარშან ამ დროისათვის მოკრეფილი იყო 118,117 ტონა. განსხვავების დაძლევა მალე შეიძლება და კრეფის ტემპის დაჩქარებით ამას კიდევაც უნდა მივაღწიოთ.

ვინ მოიკოვებს „კომუნისტისა“ და სახაგრომრეწვის გარდამავალ დროშებს?

სენაჟი და სილოსი გეგმის გადამეტებით

მარნეული (საკ. კორ.). ალგეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საკვებმომპოვებელებმა პირველმა უპატაკეს რაიონში სენაჟისა და სილოსის დამზადების წლიური გეგმის შესრულება. გეგმის გადამეტებით დამზადებულია 150 ტონა სენაჟი და 300 ტონა სილოსი. წარმატებით მიმდინარეობს თივის დამზადებაც და წლიური გეგმის შესრულება გათვალისწინებული აქვთ ივნისის ბოლომდე.

ეს წარმატებები მიღწეულია იმის შედეგად, რომ ალგეთელები თვალსაჩინოდ უვლიან მრავალწლოვან და ერთწლოვან საკვებ კულტურებსა და ბუნებრივ სათიბებს, დროულად რწყავენ, შეაქვთ სასუქები და ა. შ. იონჯის ნათესებს სეზონში აქ ხუთჯერ თიბავენ და ჰექტარზე საშუალოდ 500 ცენტნერ მწვანე მასას იღებენ. სწორედ მტკიცე საკვები ბაზის არსებობის შედეგია ალგეთელ მეცხოველეთა წარმატება. აქ თითოეულ ფურზე 2.500 კილოგრამ რძეს იღებენ, რაც 900 კილოგრამით აღემატება რაიონის საშუალო მაჩვენებელს. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით წელს თითოეული ფურის წველადობა 150 კილოგრამით გაიზარდა.

სათიბებში ნაყოფიერად შრომობს თ. ხიდიროვის საკვებმომპოვებელი ბრიგადა. დავალებას თითქმის ორმაგად ასრულებენ მექანიზატორები ი. ნამაზოვი, ა. ალიევი და სხვები. ალგეთელთა მტკიცე გადაწყვეტილებაა წელს ერთი სული პირუტყვისათვის 30 ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადონ და შექმნან საკვების წლიანსტვარის მარაგი. — განაცხადა მეურნეობის დირექტორმა გ. თედორაძემ.

ხუროთმოძღვართა ახალი ჰორიზონტები

ავალოდაძეობთ საბჭოთა არქიტექტურის ჰუმანიზმი და სულიერი სიწყნისა, რომელიც არა მარტო მატერიალურ ფასეულობას ქმნის, არამედ საზოგადოების ესთეტიკურ და ზნეობრივ იდეალებსაც აყალიბებს — ამ აზრით იყო გამსჭვალული სსრ კავშირის არქიტექტორთა VIII ყრილობის მონაწილეთა ყველა გამოსვლა. 17 ივნისს მან მუშაობა განაგრძო მოსკოვში.

დელეგატები დიდი დაინტერესებით, პოლემიკურად იხილავენ საბჭოთა ხუროთმოძღვრების პრობლემებს, მთელი არქიტექტურულ-სამშენებლო კომპლექსის გარდაქმნის, ხუროთმოძღვრთა და მშენებელთა შემოქმედებითი საქმიანი თანამშრომლობის განმტკიცების გზებს, თავიანთი შემოქმედებითი ქავშირის წესდების ახალი რედაქციის პროექტს.

ყირილობაზე გამოვიდნენ რუსეთის სფსრ, უკრაინისა და ბელორუსიის არქიტექტორთა კავშირების გამგეობათა თავმჯდომარეები ა. გ. როჩეგოვი, ი. ნ. სედაკი, ე. მ. კოვალევსკი, რუსეთის სფსრ არქიტექტორთა კავშირის ლენინგრადის განყოფილების გამგეობის წევრი მ. ი. ლაპშინა, სომხეთისა და საქართველოს არქიტექტორთა კავშირების გამგეობათა თავმჯდომარეები ა. გ. გრიგორიანი და ნ. მ. მგალობლიშვილი და სხვები.

სამშენებლო კონვეიერისა და საპროექტო-არქიტექტურული საქმის შესაყარზე წამოჭრილი პრობლემებისა და ნაკლოვანებების ანალიზს მიუძღვნა თავისი გამოსვლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარემ ი. პ. ბატალინმა.

18 ივნისს ყირილობა მუშაობას განაგრძობს. (საკდეს).

საქმეთ გამოაჩინა

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვა“ გამოთვლითი მანქანების ქარხნის ერთ-ერთი საუკეთესო რგოლია მეორე სამონტაჟო-სამუშაო საამქრო. ამ წლის დამდეგიდან, უკანასკნელი ხუთი თვის მანძილზე მას გაერთიანების 15 ძირითად საამქროს შორის მეორე-მესამე ადგილი უკავია ყველა მაჩვენებლის მიხედვით. მაისის გეგმა მან 118 პროცენტით შეასრულა.

ამაში მცირე წვლილი როდი აქვს შეტანილი მეოთხე სამონტაჟო უბანს, რომელსაც უბნის ოსტატი, კომკავშირელი ნანა მამუკაშვილი ხელმძღვანელობს. აქ ამონტაჟებენ სხვადასხვა მოდიფიკაციის სმ-1800 გამოთვლითი მანქანების ბრტყელ და კიდულ ჩალიჩებს.

სურათზე: კომკავშირელები — მემონტაჟე მაია ქებაძე, უბნის ოსტატი ნანა მამუკაშვილი და მემონტაჟე მანანა თამარაშვილი.

Ш. კრიმსკის ფოტო.

პარტიული ცხოვრება: გესაუბრებით პირველ მდივნებზე

მიწა და მიწის მუშა

რა არის აგრომრეწვი, დღეს ყველამ იცის. მაგრამ ყველას ახსოვს თუ არა, რა არის აბაშა? მაშ, იცოდეთ, აბაშა რაიონული ცენტრია დასავლეთ საქართველოში. და ერთერთი ის ადგილი, სადაც აგრომრეწვი ჩაისახა. დასაწყისი კი ძნელი იყო.

დასაწყისი. სწორედ აქ, აბაშაში, კოლხეთის უღიმღამო, ციებიან ჭაობებში მივიდა გურამ მგელაძე „იმ დასკვნამდე, რომ სოციალიზმიდან ყველაზე დიდი გადახვევა ცარიელი ბელელია“. სწორედ ასე ჩაწერს იგი შემდეგ წიგნში „ფიქრები გზაში“, რომელიც პოლიტგამომცემლობამ გამოუშვა. საქირო იყო პარტიული მუშაობის ახალი ფორმების გამონახვა. და, პარალელურად, — სოფლის მეურნეობაში შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმები, რომლებიც მატერიალურად დაინტერესებდა მშრომელებს.

სწორედ ასე ეშვა იმის იდეა, რომ დაქსაქსული უწყებანი ერთ ჭიერქვეშ მოეთავსებინათ და მიწისთვის ერთი პატრონი მიეჩინათ.

საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი გურამ დავითის ძე მგელაძე სამოცდაათიანი წლების დამდეგს ექსპერიმენტის სათავეში იდგა.

ნიადაგი, რომელზეც აგრომრეწვი უნდა აღმოცენებულიყო, მწირი იყო არა მარტო გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც. გლეხებმა, უკიდეგანო ჭაობებში პატარ-პატარა კუნძულებზე სიმინდს რომ თესავდნენ, არც კი იცოდნენ, რომელ ღმერთებს შევედრებოდნენ მოსავალს. შეევედრებოდნენ, რომ წყალს არ წაელეკა, ქარს არ წაეღო, მზეს არ გადაებუგა ყველაფერი...

იდეით გატაცებულმა ადამიანებმა სტიქიის ნებისყოფა და გამრჯეობა დაუპირისპირეს. დამპალი ჭაობების ადგილას სიმინდის ყანები აშოიალდა.

დღეს გურამ მგელაძე რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარეა. რაიონმა, ასე გეთქვათ, თითქოს წაიბორძიკა — თანდათან დაკარგა ყოფილი „პირველის“ დროიდელი რწმენა, გაუჭირდა. ნათელი გახდა: დაჩქარების დასაბრუნებლად საჭირო იყო ძლიერი ლიდერი.

არჩევანი გუნავაზე შეჩერდა. გურამის (ესეც გურამია!) ნამსახურობის ნუსხაში ამ მომენტისათვის ყველაზე ნათელი ფურცლები იყო: ენგურის უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში მონაწილეობა და ლენტების რაიონში მუშაობა. აქაც და იქაც — პარტიულ ხელმძღვანელად.

ენერგია. აქ უნებურად წარმოგიდგებათ ასეთი სურათი: გურამ გუნავა ლენტეხს ტოვებს, და ამაყი, დიხერ სვანები, რომლებსაც მინნდამინც არ უყვართ გრძნობების გამომჟღავნება, თავიანთი რაიონის საზღვრამდე აცილებენ... გარს შემორტყმიან მოხუცები და ჭაბუკები, ხანდაზმული დედაკაცები და მორცხვი პატარძლები, ოჯახის მამები და ბალღები. აქაურობისთვის ყოველად უნვიელო, დინჯი და წუხილით აღსავსე ხალხის ნაკადი.

.ოდესაც, რამდენიმე წლის წინათ, უცხოსავით მიიღეს — ფრთხილად და უნდობლად. ახლა ისე ეთხოვებოდნენ, როგორც ყველაზე ახლობელს, ყველაზე საყვარელ კაცს. არ სურდათ გაშორება! რა შეიძლება იყოს ამაზე დიდი ჯილდო, ამაზე სასურველი აღიარება!

გურამ გუნავა მგზნებარე, დაუცხრომელი, მუდამ სამოქმედოდ მომართული კაცია. წინასწარ ვერასოდეს იტყვი, რას ფიქრობს და რას იზამს. ერთხელ, როცა მანქანით ერთი მეურნეობიდან მეორეში მივდიოდით, უეცრად შეწყვიტა წინადადება და მითხრა:

— ძროხა ლექსებს არა წერს, რძეს იძლევა. სწორედ ეს უნდა გვახსოვდეს....

კვერი დავუკარი, ეს მაიაკოვსკისაც აქვს-მეთქი ნათქვამი. გუნავამ მანქანა გაიჩერა, კარი მიეჯახუნა და მწვანედ აბიბინებულ შვრიის ყანაში გამიყვანა.

— როგორია?

მართლაც კარგი შვრია იყო: მოსავალის კარგი პირი უჩანდა. ამ საკმაოდ მოზრდილი ნაკვეთის ყოველი ჰექტარი თორმეტ ტონა მწვანე მასას მაინც მისცემდა, ამ მხარეში ჩვეულებრივი ოთხი-ხუთი ტონის ნაცვლად. კიდევ უფრო საგულისხმოდ მეჩვენა ამ მიწის ბიოგრაფია, რომელიც საგანგებოდ გადახნეს იმ მიზნით, რომ დაერწმუნებინათ ურწმუნონი და სკეპტიკოსები, თუ რის მოცემა შეუძლია აქაურ ნიადაგს, თუ კაცი გონივრულად და მუყაითად გაიჯარჯება.

— ყანა კი არა, სასწავლო პოლიგონია. ამ გამოცდილებას მთელ რაიონს მოვდებთ, — კმაყოფილებით ამბობს გუნავა. — წინათ მეზობლებისგან ვსწავლობდით, ახლა თვითონ გავართმევთ თავს...

აი, ასე შეიკრა ეს ჯაჭვი, რომლის პირველი რგოლი იყო ორიოდე სიტყვა ძროხაზე, რომლისთვისაც ღმერთს პოეტური ნაბეი არ მოუმადლებია, მაგრამ შეიკრა კი! ამ ძროხის წველადობა რაიონში სამაითასიან მიჯნას უახლოვდება, რაც აქაურობისთვის კარგი მაჩვენებელია.

გუნავა პოულობს და მატერიალური წარმოების სფეროში იყენებს ყოველდ მოულოდნელ რეზერვებს, რაც იმ ჯადოქრებს მაგონებს, რომლებიც როგორღაც გრძნობენ წყაღის პლანტების სიღრმეში, და ცხოველმყოფელ ჭეშს ქმნიან. ასე იყო, მაგალითად, როცა მიგდებულ, თითქოს ყოველდ უვარგის მიწაზე, „ძველი აბაშის“ გაერთიანებაში, სამასამდე კამეჩი გაუშვეს.

— ჩინებულად შეეგუვნენ! — ოპტაციებული მიამბობდა გალაქტიონ კუკია, გაერთიანების დირექტორი. — ეს პირუტყვი ძროხაზე გაცილებით ადვილი მოსავლელია, რძე კი სამჯერ უფრო ნოყიერი აქვს. მეურნეობასაც გვარიან მოგებას ალლეს...

ჩვენ სწორედ ამ მიწაზე ვიდექით, რომელსაც პაპანაქების გამო ოხშივარი ასდიოდა. იქვე ზანტად ძოვდნენ რქებდაგარეული კამეჩები, ფესვამდე კვნეტდნენ ბუჩქებსა და ეკალ-ბარდებს. ვუსმენდი გალაქტიონს და გუნებაში ვთვლიდი მის მინაგნებს, სიახლეებს და წამოწყებებს. უგანწყესო რგოლები და საოჯახო იჯარა, ჩეკის წიგნაკები, მთელი ნახირის განახლება, ახალი მინდვრის კულტურების დანერგვა, სასოფლო სკოლებთან შექმნილი მინი-კოლმეურნეობანი და მინისაბჭოთა მეურნეობანი. საუკეთესოთა გამოცდილება, რომელიც დაუყოვნებლივ უმრავლესობის კუთვნილება ხდება... აგროსამრეწველო კომპლექსის იდეა, ისევე როგორც ყოველი პროგრესული იდეა, რაღაც გაყინული, მარადიული რამ რიდია.

სტილი. და აი, აქ უნებურად მებადება სრულიად გარდაუვალი კითხვა: სად გადის იგი — მიჯნა საკუთრივ პარტიულ და სამეურნეო მუშაობას შორის? შეადგენს თუ არა პირველი მდივნის მოვალეობას იზრუნოს კამეჩების საძოვრებზე, საიჯარო რგოლების განვითარებაზე? ან, იქნებ, ყოველივე ეს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეს უნდა მიანდოს?

— ჩვენ საერთო საზრუნავი გვაქვს, — გამიფანტა ეჭვები გურამ გუნავამ. — მაგრამ ჩვენ-ჩვენი მეთოდებით უნდა ვიმოქმედოდთ.

ოქმის გახუნებულ ფურცლებს შემოუნახავს იმ პროგრამის არსი, რომლითაც აბაშაში მოვიდა: არ გასწოოს რაიაღმასკომისა და აგროსამრეწველო გაერთიანების მაგიერობა, არამედ ჭეროვან დონეზე აიყვანოს ისინი და მდგომარეობის ბატონ-პატრონებად აქციოს.

— ეს მხოლოდ ერთი პირობით შეიძლება, — ამბობს გურამი აქტივთან გაცნობისას. — ჩვენ მოვალენი ვართ გვახსოვდეს, რომ ყველანი, თანამდებობის მიუხედავად, პარტიულ სამუშაოზე ვართ. პარტიული მუშაობა კი უწინარეს ყოვლისა კაცთმცოდნეობა და კაცთმოყვარეობაა.

მე შემხვედრია ისეთი ხელმძღვანელები — შეგნებულად რომ აგროვებენ თავიანთ გარშემო ყოველად უნიჭო, უმაქნის ადამიანებს და ცდილობენ მათ ფონზე პიროვნებად წარმოჩნდნენ. აბაშაში ყოველი ხელმძღვანელი პიროვნებაა. მათ თავს არავინ ადგას სახრით, ხელ-ფეხს არავინ უბორკავს უხეში შეძახილებითა და ლანძღვით. ეტყობა, სწორედ ამიტომ არის, რომ ამ ინიციატივის ცხოველმყოფელ ხეზე ამდენი ნორჩი ყლორტია.

პარტიის რაიკომის მეორე მდივანი რომან კიბირია რეგოლეციისა და სამოქალაქო ომის გმირთა ძეგლის ასაგებად რაზმავს ახალგაზრდობას. სწორია, — მხარს უჭერს მას გუნავა, — ისტორიის თვალსაჩინო, ცოცხალი გაკვეთილი უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე წიგნებში წაკითხული ათასობით ფურცელი... აგრომრეწვის

(დასასრული მე-3 გვ.).

პარტიაში მილებისა და პარტიული რიგების განმტკიცებისათვის ტაშკენტის საოლქო პარტორგანიზაციის მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიღებულ დადგენილებაში აღნიშნა, რომ უზბეკეთის კომპარტიის ტაშკენტის საოლქო კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობს სკკპ XXVII ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მითითებებით, გარკვეულ მუშაობას ეწევა პარტიული კომიტეტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის გარდაქმნისათვის, წარსულში დაშვებული სერიოზული დარღვევებისა და ბიროკრატიზმ-ებათა დაძლევის, საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, საქმიანობა პასუხისმგებლური დამოკიდებულების ვითარების დამკვიდრებისათვის.

ამავე დროს მიღებულ ღონისძიებებს სანახევრო ხასიათი აქვს, ვერ ახის საკმარისად თანამიმდევრული, არ შეესაბამება დაგროვილი პრობლემების სირთულესა და სიმწვავეს, სათანადო ზემოქმედებას ვერ ახდენს ზნეობრივი კლიმატის გაჯანსაღებაზე, ოლქის ეკონომიკისა და სოციალური განვითარების ეფექტიანობის ზრდაზე. 1986 წელს სამრეწველო საწარმოთა მესამედმა თავი ვერ გაართვა მიწოდების ვალდებულებით პროდუქციის რეალიზაციის დავალებებს, მეხუთედმა — შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებებს. სახელმწიფო მიღების პირობებში მომუშავე კოლექტივების უმრავლესობა მიმდინარე წელს ფუშავს სახელშეკრულებო ვალდებულებებს. საწარმოო სიმძლავრეთა, ბინების, სკოლამადელთა დაწესებულებების, საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებანი ვერ სრულდება. დამაკმაყოფილებლად ვერ ვითარდება აგრარული სექტორი, ხილისა და ბამბის მოსავლიანობა სამოცდაათიანი წლების დამდეგის დონეზეა.

პრაქტიკულ მუშაობაში პარტიის საოლქო კომიტეტი არ ითვალისწინებს, რომ ოლქში დაშვებული ბევრი ნაკლი, საკადრო პოლიტიკის დამახინჯებანი, განპირობებული იყო უწინარეს ყოვლისა იმით, რომ პარტორგანიზაციები ვერ იდგნენ პრინციპულ პოზიციებზე. ეს კი პირდაპირ არის დაკავშირებული პარტიული რიგების ჩამოყალიბების პრაქტიკაში დამახინჯებებთან, მათი ხარისხის გაუთვალისწინებასთან. დიდი ხნის მანძილზე აქ, ისევე როგორც მთლიანად რესპუბლიკაში, ხელაღებით ახორციელებდნენ პარტიაში მიღების დაჩქარების გეზს. პარტორგანიზაციებმა თავიანთი შემადგენლობა დაანგვიანეს შეუმოწმებელი, მერყევი, ზოგჯერ კი უცხო ელემენტებით. ტაშკენტის, ალმალიყის, უნგიოელის საქალაქო, აკურგანის, პსკენტის, კომუნისტურ და ბევრ სხვ რაიონულ ორგანიზაციაში კანდიდატად მიღების დროს პრაქტიკულად უარს არავის არ ეუბნებიან, მაგრამ შემდგომში ზოგიერთი ირიცხება ან გადის პარტიიდან.

ახლი შევსების შერჩევა წარმოებს პარტიულ ძალებზე რეალურ მოთხოვნილებათა, ზრდის არსებული ბაზისა და შემსვლელთა მომზადების დონის გაუთვალისწინებლად. პარტიული რიგები ზოგჯერ ყალიბდება იმ ადამიანთა ხარჯზე, რომლებსაც არ გაუვლიათ სერიოზული შრომითი და ცხოვრებისეული სკოლა. ფართოდ გავრცელებული „დასაწინაურებლად“ მოსამსახურეთა მიღება, რათა პარტიის წევრები ჰყავდეთ ყოველ, თუნდაც პატარა ხელმძღვანელ თანამდებობაზე, აღვივებს კარიერისტულ მისწრაფებებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში შერჩევის დროს საკმარისად არ ითვალისწინებენ ოლქის მოსახლეობის მრავალეროვან სტრუქტურას, სათანადო ყურადღებას არ უთმობენ არამკვიდრი ეროვნების მოწონავე მშრომელთა მიღებას.

არა აქვთ პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის, მათი იდეურ-პოლიტიკური წრთობის სისტემა.

პარტიული მუშაობის ამ უბანზე შექმნილი ვითარება იმის შედეგია, რომ საოლქო პარტორგანიზაცია, მისი ხელმძღვანელი ორგანოები ჯერჯოვან ყურადღებას არ უთმობენ ამ საქმეს. პარტიული კომიტეტების ბევრ პირველ მდივანს არა აქვს ზუსტი წარმოდგენა, თუ როგორ უნდა მოაწყოს პარტიის რიგების ფორმირებისათვის მუშაობა, არც თავად სწავლობენ და არც აქტივს ასწავლიან ამას. პარტორგანიზაციათა შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის მუშაობაში სუსტად არიან ჩაბმული საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებული პარტიული კომისიები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის ტაშკენტის საოლქო კომიტეტის, მისი ბიუროს, პირადად პირველი მდივნის, ამხ. ტ. ა. ალიმოვის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა ძირფესვიანად გამოასწორონ სკკპ რიგებში მიღებისა და საოლქო პარტიული ორგანიზაციის განმტკიცებისათვის, ამ საქმეში სერიოზულ დამახინჯებათა თავიდან აცილებისათვის ხელმშეკვეული მუშაობა. დაგეგს აქ დამკვიდრებული შერჩევის მკაცრი, მექანიკური რეგალიერების, საქალაქო, რაიონული და პირველადი პარტორგანიზაციებისათვის საკონტროლო დავალებების მიცემის პრაქტიკა, რომელიც პარტიული ფენის ხელოვნურ გაზრდას იწვევს.

პარტიის შემადგენლობაში მუშაობის უპრიანტესი მდგომარეობის უზრუნველყოფისათვის, საუკეთესო კოლმეურნეებთან და ინტელიგენციის წარმომადგენლებთან მნი შევსებისათვის, ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდისათვის მთელი მუშაობა უნდა წარმოებდეს სკკპ XXVII ყრილობის მითითებების, საპროგრამო და საწესდებო მოთხოვნების ზუსტი შესაბამისობით, სკკპ წევრობის ლენინური პრინციპების საფუძველზე. პარტიაში მიღება პარტორგანიზაციათა იდეური და ორგანიზაციული განმტკიცების, გარდაქმნის, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის განახლების მიმდინარეობაზე მათი გავლენის გაძლიერების ეფექტიანი საშუალება უნდა გახდეს.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები მოვალენი არიან საქმით უზრუნველყონ პარტიული შვესების ხარისხის ძირეული გაუმჯობესება, გაზარდონ პირველადი ორგანიზაციების პასუხისმგებლობა ამ მუშაობის დაყენებისათვის.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ პარტიაში მისაღებად შერჩევის ყველა სტადიაში განუხრელად იცავდნენ ინდივიდუალურ მიდგომას, ღრმად და ყოველმხრივ სწავლობდნენ ამ პოლიტიკურ, საქმიან და მორალურ თვისებებს, ვინც სურვილი გამოთქვა იდეურად და ორგანიზაციულად დაუკავშიროს თავისი ბედი პარტიას. ზრუნვა პარტიის რიგების სიწმინდისათვის, მათი დაცვა კარიერისტებისაგან, იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც არა აქვთ მტკიცე იდეური და ზნეობრივი საფუძვლები, თითოეული პარტიული ორგანიზაციის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თითოეული წევრის უპირველესი ვალი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. უპირველესი ყურადღება უნდა დაუთმონ ზრდის კარგად მომზადებული ბაზის შექმნას. პრაქტიკაში დანერგონ კანდიდატად მიღების განცხადებათა წინასწარი განხილვა პარტჯგუფებსა და საამქროს პარტორგანიზაციებში. დროულად აცნობონ შრომითს კოლექტივებს ამ საკითხთა განხილვა. მიაღწიონ, რომ მათს განხილვაში აქტიურად მონაწილეობდნენ ამ პარტორგანიზაციის ყველა კომუნისტი, აგრეთვე უპარტიო ამხანაგები, რომლებიც კარგად იცნობენ პარტიის რიგებში შემსვლელებს. აღკვეთონ იმის ცდები, რომ პარტიაში ადამიანთა მიღება დაუკავშირონ ხელმძღვანელ თანამდებობაზე მათს მომავალ დანიშვნას, უფრო თამამად დააწინაურონ ხელმძღვანელებად უპარტიო მუშაკები.

მკაცრად მოჰკითხონ სკკპ წევრებს რეკომენდაციების მიცემისადმი არაკეთილსინდისიერი, ფორმალური დამოკიდებულებისათვის, კანდიდატების პირსონალური საქმეების განხილვისას ამსჯელონ რეკომენდაციის მიმცემთა პასუხისმგებლობის საკითხზე. გაზარდონ მომთხოვნელობა კომკავშირის კომიტეტებისადმი პარტიაში სარეკომენდაციო პირთა თვისებებისათვის. თითოეულ პარტორგანიზაციაში განსაზღვრონ ახალგაზრდა კომუნისტებისათვის საწარმოო და საზოგადოებრივი ხასიათის კონკრეტული დავალებანი, საქმით ასწავლონ მათ საწესდებო უფლებების გამოყენება და მოვალეობათა შესრულება, რეგულარულად მოისმინონ კანდიდატთა ანგარიშები მათ მიერ საკანდიდატო სტაჟის გავლის შესახებ.

განახორციელონ ღონისძიებანი, რომ გაუჯობესდეს სკკპ წევრებისა და წევრობის კანდიდატებისათვის პარტიული მშენებლობის საფუძველების სწავლება.

პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტები უფრო მოსმენილნენად უნდა უდგებოდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში მიღების გადაწყვეტილებათა დამტკიცებას. სისტემატურად იხილავდნენ პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და ბიუროებზე პარტორგანიზაციების ანგარიშებს ახალგაზრდა ცვლასთან მუშაობის შესახებ. პარტიული კომისიების საქმიანობას ისე უნდა წარმართავდნენ, რომ ისინი სწავლობდნენ პარტიაში მიღების საკითხებს და კომუნისტთა პერსონალურ საქმეებს ადგილზე გასვლით.

ოლქის პარტიული კომიტეტებისა და პირველადი პარტორგანიზაციების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა იყოს კომუნისტთა, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდა შევსების იდეურ-ზნეობრივი აღზრდა. ამ მუშაობაში წინა პლანზე დააყენონ ის, რომ სკკპ წევრებსა და წევრობის კანდიდატებს ჩამოუყალიბდეთ კომუნისტური მრწამსი, აქტიური პოზიცია პარტიის ხაზის რეალიზაციაში, მაღალი ზნეობრივი თვისებები, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობა. დაბეჯითებით იღვაწონ იმისათვის, რომ კომუნისტთა ავანგარდული როლი გამოიხატოს კონკრეტული ქცევით, პრაქტიკული საქმეებით, საზოგადოებრივი ვალის უზადო მოხდით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ოლქის პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს უფრო აქტიურად აწარმოონ მუშაობა პარტორგანიზაციების გაჯანსაღებისათვის, იმისათვის, რომ გადაჭრით გაათავისუფლონ ისინი გახრწნილი, კარიერისტული ელემენტებისაგან, იმათგან, ვინც პარტიას მიეტმასნა იმ ვარაუდით, რომ სარგებლობა ნახოს პარტიული ბილეთის მეშვეობით. უფრო ფართოდ დანერგონ ღია კრებებზე კომუნისტთა, უწინარეს ყოვლისა, იმათი ანგარიშების განხილვა, რომელთა მიმართ აქვთ სერიოზული პრეტენზიები, ამასთან დახასიათებები დაამტკიცონ და, ეს საჭიროა იქნება გადაწყვიტონ მათი პარტიულობის საკითხი. უფრო აქტიურად გამოიყენონ გასაუბრება და ინდივიდუალური მუშაობის სხვა ფორმები. არ დაუშვან პარტიაში იმ პირთა აღდგენა და განმეორებით მიღება, ვინც მისი რიგებიდან გაირიცხა შეურთავობისათვის, დატაცებისა და წამატებებისათვის.

უზბეკეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ცენტრალური და ადგილობრივი პარტიული გაზეთებისა და ჟურნალების ოგზეიტიანებს, სსრ კავშირის სახტელერადიოს წინადადება მიეცათ გააუქმებესონ პარტიული შენებლობის თეორიისა და პრაქტიკის, განსაკუთრებით პარტიის წევრობის აქტუალური პრობლემების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში ახალი შევსების შერჩევისა და მისი აღზრდისათვის პარტორგანიზაციების მუშაობის გაშუქება. ჟურნალ „პარტიანაია ჟიზნის“ ფურცლებზე შეიქმნას ახალგაზრდა კომუნისტის დაუსწრებელი სკოლა.

უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ეფექტიანი დახმარება უნდა გაუწიოს ტაშკენტის საოლქო პარტორგანიზაციას აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში და საჭირო დასკვნები გამოიტანოს იმისათვის, რომ გარდაქმნას მთელი მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიღებისა და რესპუბლიკაში პარტიული რიგების განმტკიცებისათვის. უფრო ენერგიულად და თანამიმდევრულად იღვაწოს იმ კრიტიკული შენიშვნების რეალიზაციისათვის, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობასა და ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე გამოითქვა რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის მიმართ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს ეამაღლონ მთელი იმ მუშაობის ხელმძღვანელობის დონე, რომელიც ხორციელდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცხოვრებისა და საქმიანობის ახალ ეტაპზე პარტიული შვესების ფორმირებისათვის, საბჭოთა საზოგადოების განვითარებისათვის.

იმაზე, თუ ვინ შედის დღეს ლენინურ პარტიაში, დამოკიდებულია მისი აწმყო და მომავალი. პარტიულ რიგებში შესვლის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი უნდა იყოს ადამიანის დამოკიდებულება გარდაქმნისადმი, საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკისად

სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა იმსჯელა უშრომელ შემოსავალთან ბრძოლის გაძლიერების თაობაზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა მოთხოვნების განსახორციელებლად თამბაქოს მრეწველობის პათუმის, სოხუმისა და თბილისის საწარმოთა ხელმძღვანელობის, აგრეთვე ამავე დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად სარჩერის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სოციალისტური საკუთრების დაცვის მდგომარეობის შემოწმების შედეგებზე.

სახელმწიფოს ზარალი ჩირად უღირთ

რაგორც კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, უშრომელ შემოსავალთან ბრძოლის გაძლიერების თაობაზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა მოთხოვნების განხორციელებლად თამბაქოს მრეწველობის ზოგიერთ საწარმოში გაწეული მუშაობა. ადგილებზე ეფექტიანი ღონისძიებები არ ხორციელდება მუშაობის გარდასაქმნელად.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკარგებისა და დატაცების სერიოზული ფაქტები გამოვლინდა საწარმოო გაერთიანება „თბილისთამბაქოში". გაერთიანებაში არ აღრიცხავენ თამბაქოს ნაწარმის დამზადების სხვადასხვა ეტაპზე ნედლეულისა და მასალების დანაკარგებს, სათანადო ყურადღება არ ეთმობა მანქანებისა და მოწყობილობის ტექნიკურ გამართულობას, არ აკონტროლებენ მასალების ხარჯვის დადგენილი ნორმების დაცვას და არ იღებენ ზომებს მათი გადაბარგვის აღსაკვეთად. 1986 წელსა და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში აქ 172 ათასი მანეთის მასალები გადაბარგდეს. საფილტრე სამკრეოს საწყობის აღწერისას ზედმეტი აღმოჩნდა სასიგარეტო ქაღალდი, ქობი, კილტაკი და აცეტატური ფილტრი, ხოლო ნაკლები — ცელოფანი და სიგარეტ „ლუქსის" ეტიკეტები.

აქ არ იცავენ თამბაქოს ნედლეულისა და მზა პროდუქციის შენახვის წესებს, ფაფროალაა ფარდულში ინახავენ 300 ტონამდე თამბაქოს, რომელთა შეკვრების უმრავლესობა დაშლილია, არა აქვს ეტიკეტები, ერთმანეთში არეულია სხვადასხვა ხარისხის თამბაქო.

აღნიშნულ პერიოდში არასაწყობო სამსახურმა აღრიცხა 3635 მანეთის თამბაქოს ნაწარმის დატაცების 140 შემთხვევა.

1986 წელს გაერთიანებამ ვერ შეასრულა 2 სახეობის პროდუქციის გამოშვების გეგმა, წლევანდელ პირველ კვარტალში კი — სამი სახეობისა. არ დაუმზადებიათ 297,4 მილიონი ცალი სიგარეტი და პაპიროსი. პროდუქციის მოწოდების ხელშეკრულების დაუცველობისა და დაბალხარისხოვანი თამბაქოს ნაწარმის გაგზავნისათვის გაერთიანებამ მომხმარებლებს ჯარიმად 220 ათასი მანეთი გადაუხადა. შემოწმების დროს აქ დაიწუნეს 17,2 ათასი კოლოფი სიგარეტი „ლუქსი".

არასახარბიელო მდგომარეობაა სოხუმის თამბაქოს ფაბრიკაშიც. აქაც არ აღრიცხავენ ნედლეულისა და მასალების ფაქტობრივ დანაკარგებს, არის ხელმეორედ გადასამუშავებელი ნარჩენების სანაგვეზე გადაყრის ფაქტები. შემოწმების დროს გადაყარეს 530 კილოგრამი საწარმოო წუნი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი თამბაქო იყო. შარშან და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში აქ გადახარჯეს 13 ათასი მანეთის სიგარეტისა და სამუნდშტუკე ქაღალდი, სხვადასხვა ეტიკეტი. წლეულს 28 აპრილს ნედლეულისა და მასალების ხარჯვის აღრიცხვის უწყისში აღნიშნულია 141,7 ათასი კოლოფი სიგარეტის „ამრას" დამზადება, რაზეც ჩანაწერის თანახმად თითქოსდა 139,6 ათასი ცალი ანუ 2,1 ათასი ცალით ნაკლები ეტიკეტი დაიხარჯა (?!). აღწერისას აღმოჩნდა სამუნდშტუკე ქაღალდის დანაკლისი, სიგარეტ „ამრას". ეტიკეტი კი 7,2 ათასი ცალი ზედმეტი იყო. 30 აპრილს შემოსავალში აუღებელი იყო და საწყობისათვის არ ჩაებარებინთ უკანასკნელ კვირაში დამზადებული 536,2 ათასი კოლოფი თამბაქოს ნაწარმი. აქაც იშვიათი როდია წვრილმანი დატაცების შემთხვევები, თვით ამ შემოწმების დროს დადგინდა მუშების მიერ 700 ცალი სიგარეტის გატანის ფაქტი.

არც ამ ფაბრიკაში შეუსრულებიათ 1986 წელს თამბაქოს ნაწარმის გამოშვების გეგმა, არ დაუმზადებიათ 22,2 მილიონი ცალი სიგარეტი და პაპიროსი. საწელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის გადაიხადეს 29 ათასი მანეთი ჯარიმა. შემოწმების პერიოდში სტანდარტების მოთხოვნათა დარღვევისათვის დაიწუნეს 116,2 ათასი კოლოფი სიგარეტი „პრიმა", რაც შემოწმებულის 9 პროცენტია.

უყაირათობისა და მფლანგველობის მრავალი ფაქტი გამოვლინდა ბათუმის თამბაქოს საფერმენტაციო კომბინატშიც. აქ ფორმალურად წარმოებს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია და საწარმოო წუნის აღრიცხვა, უხარისხოდ ან საერთოდ არ ფორმდება ნედლეულისა და მასალების შიდასაწარმოო მოძრაობის საბუთები. მაგალითად, 4-5 აპრილს კომბინატის საწარმოო უბანში ხელვაჩაურის საწყობიდან საბუთების გაუფორმებლად შეიტანეს 7,3 ტონა საბეჭდი და სამუნდშტუკე ქაღალდი. ამ უბანზე მოწყობილი აღწერისას აღმოჩნდა ზედმეტი 407 კილოგრამი საბეჭდი ქაღალდი და დანაკლისი 344 კილოგრამი სამუნდშტუკე ქაღალდი. შემოწმებულ პერიოდში კომბინატში გადახარჯულია 24,6 ტონა თამბაქო, აგრეთვე 289 ათასი მანეთის სხვადასხვა დამხმარე მასალა. დროის ამავე მონაკვეთში არასაუწყებო დაკვამ გამოავლინა წვრილმანი დატაცების 34 შემთხვევა, ხოლო

გაზეთის ქონტროლიორ

‰ სალ‰ის ‰ ‰ ‰ ‰ ‰

ბიულეტენი

№ 227

მიმდინარე წლის აპრილში სამტრედიის რაიონულმა გაზეთმა „წინსვლამ" ტრადიციულად გვერდი დაუთმო სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თემატურ მასალას „მასების თვალით", რომელიც რიგით 150-ეა. ათ წელზე მეტია ასეთი თემატური გვერდი ყოველთვიურად ქვეყნდება, რამაც განამტკიცა და მრავალფეროვანი გახადა რედაქციისა და სახალხო კონტროლიორების კავშირი და თანამშრომლობა, მნიშვნელოვნად ამაღლდა საჯაროობისა და კონტროლის ქმედითობის დონე.

ალბათ შორს წაგვიყვანს იმის ჩამოთვლა, კონკრეტულად რა საკითხებს ეხება თემატურ გვერდებში მოთავსებული წერილები, ილუსტრაციები, მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ იგი მეტნაკლები სისრულით მოიცავს რაიონის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ცხოვრების მრავალ აქტუალურ საკითხს, რომელთა შორის სპეციალური ადგილი განეკუთვნება რაიონის სახალხო კონტროლიორთა მუშაობის საჯაროობას და, აქედან გამომდინარე, სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის შედეგები თვითმმართველობის გვანეკენდეს და თვითდამშვიდების უფლებას გვაძლევდეს. სამწუხაროდ, სასურველი შედეგებისაგან ჯერ კიდევ საკმაოდ შორს ვართ, რადგან რედაქცია თავის მუშაობაში ყოველთვის ღრმად ვერ სწვდება სახალხო კონტროლის ძირეული რგოლების — ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობას. რაიონის სინამდვილეში კი იშვიათი როდია შემთხვევა, როცა სახალხო კონტროლის ჯგუფი არ ესწრაფვის საჯაროობის მრავალმხრივი ფორმების გამოყენებასა და სრულყოფას, რაც ხელს უწყობს საქმისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას, მოჩვენებითობას. ეს თვალნათლივ ჩანს წერილში „დაპირებებიდან საქმეზე უნდა გადავიდეთ!", რომელიც წელს 22 იანვარს დაიბეჭდა „წინსვლაში" და ეხებოდა სახალხო კონტროლის ჯგუფების მუშაობას მასობრივობის, საჯაროობისა და ქმედითობისათვის. გამოქვეყნებული მასალები მეტყველებს, რომ ჯერ კიდევ ბევრი ჯგუფი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს, ზოგან კი აბსოლუტურად ფორმალურად ეკიდებიან შემოწმებათა შედეგების შრომითი კოლექტივებისათვის გაცნობას, სტენდების მოწყობას, მათს განახლებას, თვალსაჩინოებებისა და საჯაროობის ფორმების გამოყენებას. სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა სპეციალურად იმსჯელა აღნიშნული მასალის გამო, სამართლიანად ცნო გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და მიიღო შესაბამისი დადგენილება კონტროლის მასობრივობისა და საჯაროობის საკითხებისადმი ფორმალური დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად.

დიდია ამოცანები, რომლებიც პარტიამ ჩვენს საზოგადოებას დაუსახა. გარდაქმნისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პროგრამის რეალურად განხორციელება მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას, მინდობილი საქმისადმი პიროვნების დამოკიდებულების ხარისხს, და ეს ეხება არა მარტო იმათ, ვინც უშუალოდ ქმნის სახალხო დოვლათს, არამედ იმათაც, ვინც აღჭურვილია სათანადო უფლებებით, — მკაცრი და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადონ ბიუროკრატიზმს, ფორმალიზმს, წამგლეჯობასა და თვალის ახვევას, ყველაფერი გააკეთონ ცხოვრების ყველა სფეროში წესრიგის განტკიცებისათვის და ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლებისათვის. სახალხო კონტროლის ორგანოს ამ მხრივ უფლებებიც დიდი აქვთ და შესაძლებლობებიც. უაღრესად საპატიოა ამ საქმეში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლი. გაზეთ „წინსვლის" რედაქციის კოლექტივი სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილავს სახალხო კონტროლიორებთან ურთიერთობისა და მუშაობის გარდაქმნის ამოცანას.

ა. გრიგოლია,
სამტრედიის რაიონული გაზეთის „წინსვლის" რედაქტორი.

ურთიერთთანამშრომლობით

გაზეთი და კონტროლის საჯაროობა

კონტროლის ქმედითობის ამაღლებას. მარტო შარშან და მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში სახალხო კონტროლის ჯგუფების საქმიანობის ავ-კარგს დაეთმო ათზე მეტი საგაზეთო პუბლიკაცია, რომლებშიც საკმაოდ მწვავედ აღინიშნა არსებული რეზერვების გამოყენებისა და ყაირათიანობის საკითხების, აგრეთვე სოციალისტური საკუთრების დაცვის, გამოშვებული პროდუქციისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის, წამატებებისა და თვალისაზვეის ფაქტებისადმი „ტრანსშენის" № 815 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის, კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს, წყალთა მეურნეობის № 13 მოძრავ-მექანიზებული კოლონის, რაიონის ელექტროქსელის, ' ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის, ასევე რაიონის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების სახალხო კონტროლის ჯგუფების გულგრილი დამოკიდებულება.

უმოქმედობისა და დაკისრებული ამოცანებისადმი ზერელე დამოკიდებულების გამო სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტისა და გაზეთის სამართლიანი კრიტიკა დაიმსახურა სამტრედიის სანიტარიული ავტოსატრანსპორტო საწარმოს სახალხო კონტროლის ჯგუფმა; შრომითი კოლექტივების, საქმიანობრობა საკითხებისადმი ფორმალური დამოკიდებულებისათვის მკაცრად გააკრიტიკეს საკონსერვო ქარხნის, ჩაის ფაბრიკის, ელექტრომენტული მექანიკური ქარხნის, ჩაის კომბინატის სახალხო კონტროლის ჯგუფები. საკითხების ზერელედ, არაკვალიფიციურად შესწავლის, კონტროლიორთა აქტივის, საჯაროობის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის სამტრედიის ბამბის სართავი ფაბრიკისა და კულაშის საქსოვი ფაბრიკის, ხოლო სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნეობით ხარჯვის, სოფლების კეთილმოწყობის, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების უგულებელყოფისათვის — ღანირისა და ეწრის სასოფლო საბჭოებთან არსებული სახალხო კონტროლის ჯგუფები და ა. შ.

გაზეთის რედაქციისა და სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის მჭიდრო კონტაქტები და ურთიერთთანამშრომლობა არ ამოიწურება მარტო თემატური გვერდებით. სოციალური პრობლემების გადაწყვეტისა თუ უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის რედაქციისა და სახალხო კონტროლიორთა ნაყოფიერი თანამშრომლობის არაერთი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ. სწორედ ასეთი თანამშრომლობით მოწყობილი რეიდის შედეგი იყო „წინსვლაში" დაბეჭდილი უაღრესად მწვავე კრიტიკული წერილი „პრობლემები, რომლებიც გადაწყვეტას მოითხოვს", რომელიც აღძრავდა სამტრედიის საკოლმეურნეო ბაზარში წესრიგის განმტკიცების აქტუალურ საკითხებს.

რაიონის სხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან, მათ შორის სახალხო კონტროლის კომიტეტთან ერთად რედაქციის მიერ მოწყობილი სარეიდო შემოწმების საფუძველზე დაიწერა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისადმი მიძღვნილი მწვავე პუბლიკაციები, მაგალითად, წერილი „გთხოვთ წარმოადგინოთ ანგარიში...", რომელიც ეხებოდა საზოგადოებრივი კვების ობიექტებში სალარო-აპარატების უმოქმედობასა და კლიენტებთან ანგარიშსწორებაში არსებულ დარღვევებს. რაიონის საზოგადოებრივი ავტოტრანსპორტით მოქალაქეთა უბილეთოდ მგზავრობის პრობლემას ეხებოდა წერილი „პასუხისმგებლობის საფეხურები", რომელიც გამქვეყნდა რუბრიკით, „გარდაქმნა: ვისგან უნდა დავიწყოთ იგი?" და ამხილებდა ტრანსპორტზე წესრიგის განმტკიცების მტკივნეულ საკითხებს, მსგავსი პლანით წარმოაჩენდა პრობლემას, რომელიც, ვფიქრობთ, მარტო ჩვენი რაიონისათვის არ არის მტკივნეული და საჭირბოროტო. ასეთივე უკომპრომისო დამოკიდებულებითა და მებრძოლი სულისკვეთებით გამოირჩეოდა რეიდის მასალა სათაურით „ორი ფაქტი — უკონტროლობის ორი შედეგი".

რედაქციასა და სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტში შემოსულმა მშრომელთა სიგნალებმა გვიკარნახა ერთობლივი რეიდის მოწყობა ზამთრის სეზონისათვის კომუნალური ბინების სითბოთი უზრუნველყოფის საკითხებზე, რომლის შედეგები უაღრესად მწვავე დასკვნებითურთ გამოქვეყნდა სათაურით „როგორ თბება თქვენი ბინა?". წერილი მშრომელთა საარსებო ინტერესებთან ერთად აღძრავდა სათბობისა და ელექტროენერგიის ყაირათიანად გამოყენების მრავალ პრობლემას.

სახალხო კონტროლიორთა საქმიანობის ამსახველი თემების გამრავალფეროვნებისათვის რედაქცია სხვადასხვა საგაზეთო ჟანრს იყენებს — სტატია, კორესპონდენცია, ინფორმაცია, რეპორტაჟი კომიტეტის სხდომიდან, კარიკატურა და ა. შ.

როდესაც საჯაროობაზე ვლაპარაკობთ, მზედველობაში გვაქვს არა მარტო ძირეულ რგოლებში არსებული მდგომარეობის ნათელყოფა, არამედ თვით სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობაც. მსგავსი ანგარიშებით გაზეთის ფურცლებზე პერიოდულად გამოდიან სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, ინსპექტორი, კომიტეტის წევრები, ჯგუფების თავმჯდომარეები, მოწინავე კონტროლიორები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები. მაგალითად, სამტრედიის აბრეშუმის ფაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის პარტბიუროს მდივნის დ. ქავთარიას 1986 წლის 27 დეკემბრის წერილში „გარდაქმნის ძირითადი მიმართულებები" ლაპარაკია საწარმოს სახალხო კონტროლიორთა ამოცანებზე, სახალხო კონტროლის ორგანოების წინაშე დასახული პროგრამის განსახორციელებლად კომუნისტების როლზე.

არ გვინდა მკითხველს ჩვენი საუბრიდან ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, თითქოს რედაქციისა და სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის შედეგები თვითკმაყოფილებას გვანეკენდეს და თვითდამშვიდების უფლებას გვაძლევდეს. სამწუხაროდ, სასურველი შედეგებისაგან ჯერ კიდევ საკმაოდ შორს ვართ, რადგან ინფორმაციის ბაზარში წესრიგის განმტკიცების აქტუალურ საკითხებს, ამბავი ჩვენ ვერ ვიგებთ, ან ვერ ვიგებთ, ან ... ეს ... ეს ... ეს

მიწა და მიწის მუშა

(დასასრული)

თამამჯდომარე ვალერიან ფირცხალავა მეცხოველეობაში ოჯახური რგოლებისა და ბრიგადების ორგანიზაციით არის გატაცებული. ესეც გონივრული. რაიონული გაზეთის რედაქტორი გიორგი გვაზავა განგაშს ტეხს: მარჩენალი დაკარგა წვრილშვილიანმა ოჯახმა. და რაიკომის ბიურო საგანგებო გადაწყვეტილებას იღებს როზა ჩაგანავას — ქვრივისა და რვა შვილის დედის დასახმარებლად. „განახლებული ალაშა“ დაუყოვნებლივ ამცნობს ამას მკითხველებს...

აი, ასეთი დამოკიდებულება, გულისხმიერება ახარებს გუნავას. ურთულეს, ყოველდ გაურკვეველ სიტუაციებშიც კი კომუნისტები ღირსეულად იქცევიან. იგივე ფირცხალავა არ დაიბნა, როცა გზა უნდა გადაეღობათ მოულოდნელი ნიაღვრისათვის: მთელი ხალხი ფეხზე დააყენა, მანქანები ქვით დატვირთა... და მათი ასეთი მოქმედება ავტორიტეტს მატებს არა მარტო პარტიის რაიკომს, არამედ აგრომრეწვის, იდგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტსაც.

გუნავას გარს ახვევიან ახალგაზრდა, ენერგიით აღსავსე ადამიანები! რომან კიზირია სულ ცოტა ხნის წინათ რაიონული კომკავშირის ხელმძღვანელი იყო, პარტიული სკოლა დაამთავრა... ვალერიან ფირცხალავამ, ოღონდ მიწაზე ეფუშავა, თბილისში პრესტიჟული სავარძელი მიატოვა... ჟურნალისტიკაზე შეყვარებულ გიორგი გვაზავას ჯერაც არ განელებია ლექსების წერის ჰობაკური წყურვილი... ჰოდა, იდგილობრივ ხელმძღვანელთაგან ყველაზე გამოცდილი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე აკაკი ბაგრატის ძე ქობალავაც დარწმუნებულია, რომ „აბაშაში პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობა ერთი კალაპოტით მიედინება“.

დიდი სამამულო ომის მონაწილე, ყველა წამოწყებაში გურამ მგელაძის თანამოსაგრე ქობალავა, როცა ერთმანეთს შევხვდით, ისის იყო არჩევნებისწინა კრებებიდან დაბრუნებულიყო. და აშკარად აღელვებული, გულაჩუყებული გახლდათ იმის გამო, თუ როგორ ჩაიარა კრებამ.

— ამგვარ კამპანიებში კბილები გამიცვდა, — მიამბო აკაკი ქობალავამ. — გულახდილად რომ გითხრათ, ცოტა არ იყოს მეშინოდა ამ საქმეში სიახლეებისა. ჰოდა, შევმცდარვარ. ხალხის ასეთი აქტიურობა არ მახსოვს. მიხარია!

აქტიურობა სოციალური მოგლენაა და ცაიერელ ადგილას არ წარმოიშობა. მისი აღმაფრთოვანებელი აღმავლობა უწინარეს ყოვლისა ცხოვრების იმ გარდაქმნებს უეჭველი დასტურია, რომლებიც დამკვიდრებულია პარტიის გადაწყვეტილებებით. და, რაღა თქმა უნდა, აბაშელ კომუნისტთა ძალისხმევის შედეგია მუშაობის იმ უბანზე, სადაც წინა პლანზეა კაცთმცოდნობა და კაცთმოყვარეობა.

ადამიანები. მრავალთა საქმეები გვიამბნა, მაგრამ... მეტისმეტად ვიწროა წერილის ჩარჩოები.

— მოდით, ერთი, შევაღოთ ეს ჭიშკარი, — შემომთავაზა გუნავამ.

მოხუცი ჯადოქრის შალვას ბაღის ჩრდილებში თითქოს ქიწიდან ამოზრდილიყო ლითონის ქანდაკებათა აჟურული კონსტრუქციები, რომლებიც ბოხტობას ასხამდნენ დედობას და ქვეყნად მშვიდობას. მასალად გამოყენებულია გადაყრილი მავთულები, მილები, ნემსები. მართლაც სასწაული უქნია ოსტატს: მკვდარი, უმაქნისი ნედლეულით შექმნილი ცხოვრების შთაგონებული სანე, ფანტაზიით სულჩადგმული.

— რისთვის გვირდებათ ეს, შალვა? — ვკითხე მე.

— თუ მე არ გავაკეთე, სხვა არავინ გააკეთებს, — მიპასუხა შალვა გიგინეიშვილმა, პენსიიაზე გასულმა ელექტრომონტიორმა. — ახლა კი ხალხი მოვა, ნახავს და მომშბაძავს. თუნდაც თავისებურად, ჩემზე უკეთ გააკეთებს. კარგიც იქნება, თუ უკეთ გააკეთებენ!

ლამაზი ნამუშევრით და მოხუცის ფილოსოფიით მოხიბლულნი დაფიქრებული გამოვედით ბაღიდან, ჩუმად ჩავსხედით მანქანაში, და გზაში, რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ, გუნავამ მითხრა:

— გულუხვი კაცია შალვა!

— აი, როგორ არის! აქაურებს არც ჰავა ანებივრებს, არც მიწაა დიდად ნაყოფიერი, მაგრამ გულუხვი ხალხით კი საოცრად მდიდარია აბაშა.

მიტროფანე კუკუხიძეს გზისპირას ჭასთან გავესაუბრეთ. კომუნისტია, ზოოტექნიკოსი. ოც წელს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა და „დაქვეითება“ — ფერმის გამგეობა არ ითაკილა. ვამბობ, „არ ითაკილა“-მეთქი, რამეთუ ჯერ კიდევ გვგონია ბევრს, თითქოს სირცხვილი იყოს თანამდებობის ავტორიტეტისა და „ჩინების“ დაკარგვა. ზოგი სქელი პორტფელის მოლოდინში წლობით თითს არ ანძრევს. ასეთებისთვის სამოცდახუთი წლის კუკუხიძე ცოცხალი საყვედური და საქმისადმი პარტიული დამოკიდებულების მაგალითია.

სოფელ ხოროის კოლმეურნეობაში გურამ გუნავამ უგანწესო რგოლის ხელმძღვანელი ბოჩია ჭანტარია გამაცნო. დინჯი, ჯანმაგარი ბოჩია, როცა ესაუბრობდით, საკუთარ თავზე კი არა, ამახანაგებზე ლაპარაკობდა. ერთს, ოცდაათი წლის დეპურ შონიას, პატივისცემით იხსენიებდა: „ტექნიკის მამააო!“. მეორე, ვალერი ხარებავა, რესპუბლიკის კომკავშირელთა ყრილობის დელეგატი ყოფილა. აი, ასეთი ფრიად მოწინავე ბიჭები, არცთუ მოწინავე თანამდებობებზე არიან! და როცა უეცრად სათესელა შეფერხდა და ბოჩიამ დეპურთან ერთად შესაკეთებლად მიაშურა, ვალერიმ წამჩურჩულა, ეს რგოლის მეთაური წუხელ მთელ ღამეს ხნავდაო.

რგოლს სიმინდის რეკორდული მოსავალი მოჰყავს. ბიჭები ბევრს და კარგად მუშაობენ, მაგრამ უკეთ მუშაობაც შეუძლიათ. სამწუხაროდ ყველაფერი მათზე არ არის დამოკიდებული. ფიქსად გაგვაცნეს თავიანთი პრეტენზიები ჩვენი მრეწველობისადმი: შაბლონით აკეთებს ტექნიკას, მაგათთვის სულ ერთია სუსხიანი ჩრდილოეთი, ზამთერი შუა ზოლი თუ ცხელი სამხრეთი. განა საჭიროა იმის თქმა, თუ რა განსხვავებაა ტუნდრას, ვორონეჟის შავმიწა ნიადაგსა და კოლხეთის ნაჭაობარს შორის? მანქანათმშენებელთა წარმოდგენაში კი ეს სხვაობა არ არსებობს, ტრაქტორების კაბინებიც კი ერთ თარგზეა მოჭრილი.

სამწუხაროა, მაგრამ ზუსტად ასეთივე საყვედური მითხრეს კოტელარის საბჭოთა მეურნეობაში (№8257-ი) ჩაკრულ სურათებს მიწერილი აქვს გადაღების წლები.

1891 წლის 20 ივლისს საგურამოში გამართულ ილიაობაზე აღ. როინაშვილს გადაუღია სამი ფოტოსურათი, რომლებსაც მიწერილი აქვთ: „20 მკათათვეს 1891 წელს“.

პირველი სურათი გადაღებულია ილიას ძველი სახლის აივნის წინ. მიწაზე წინამძღვრიანთკარის სკოლის მოსწავლეები სხედან. პირველ რიგში მსხდომთაგან კი გავარჩიეთ აღ. ჭყონია (მარცხნიდან მესამე) და ოლღა ჭავჭავაძე (მარჯვნიდან პირველი), ხოლო მათ უკან შვეიცანით „ივერიის“ თანამშრომლები და ილიას თანამებრძოლები — გრ. ყიფშიძე (მარცხნიდან მერვე თვთრ კოსტიუმში), გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილი (მარცხნიდან მეათე, ჰეხნსეთი), მის გვერდით ნიკო ნიკოლაძე და აღ. ყიფშიძე, შუაში — თვით ილიაა, მის უკან — წინამძღვრიანთკარის სკოლის მღვდელი გიორგი ასათიანი, ხოლო მისგან მესამე არტემ ანანაზარაშვილია (ჩიორა), ოლღას უკან ილია წინამძღვრიშვილი უნდა იდგეს. აქ ეგზეჭდათ ამ სურათის ფრაგმენტს.

მეორე და მესამე სურათები ერთ საზოგადოების“ ფრიად ნაყოფიერი და შინაარსიანი მუშაობისაგან არის დაალებული.

ოცდან წლებში მწვავედ დაისვა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მოწესრიგებისა და სადავო ფორმების ისტორიული თვალსაზრისით შესწავლის საფუძველზე გადაწყვეტის მტკივნეული აქტუალური საკითხები. უნდა მოეწვიათ ყრილობა თუ კონფერენცია, რომელსაც დაეკალებოდა, ბოლო მოეღო გრამატიკულ ფორმათა სიჭრელისათვის მწერლობაში და ერთიანი სავალდებულო ნორმები დაემკვიდრებინა ენობრივ პრაქტიკაში.

მეცნიერული ტერმინოლოგიის გამომუშავება, თანამედროვე ქართული ენის კულტურის სადავო საკითხების მოგვარებისათვის შეუნელებელი ზრუნვა ახალი სამეცნიერო ძალების მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანი მოღვაწეობის ერთ-ერთი რგოლია. ახალი ფილოლოგიური მეთოდიით შეიარაღებულმა მკვლევარებმა სათავე დაუდეს სალიტერატურო ქართულის ნორმათა მოწესრიგების დიფერენციულ საქმეს, რომელიც მკაცრ ლინგვისტურ ანალიზსა და ახალი მეთოდოლოგიის პრინციპებს ეფუძნებოდა. ამ ახალი მიმართულების მესეფურობა წილად ხვდათ ნიკო მარის სამეცნიერო სკოლიდან გამოსულ მეცნიერებს ნ. ჯავახიშვილს, ი. ყიფშიძეს, ა. შანიძეს, ვ. ბერიძეს, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გიორგი ახვლედიანს.

იგი პირველია, რომელმაც ჩვენში ინდოევროპულ ენათა კვლევა-ძიება მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდნენ ქართველი რუსისტები, გერმანისტები, რომანისტები და ირანისტები, რომლებმაც ფართოდ გაშალეს პედაგოგიური და კვლევითი მუშობა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში. ბატონი გიორგი იმთავითვე კითხულობდა „უნივერსიტეტში, სხვა საგნებთან ერთად, ერთ-ერთი ინდოევროპული ენის — ძველი ინდურის კურსს. მისი ცნობილი სახელმძღვანელო „სანსკრიტი — მოკლე გრამატიკა და ნაწყვეტები კლასიკური სანსკრიტიდან და რეგვედიდან ლექსიკონითურთ“ ჩვენს სამეცნიერო ცხოვრებაში დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტად უნდა ვაღიაროთ, რამდენადაც ამგვარი ნაშრომის შექმნა და დაბეჭდვა ჩვენი ნორჩი უნივერსიტეტის აკადემიურ პრესტიჟზე მეტყველებდა და მეცნიერულ დისკუსიონალთა მრავალფეროვნებას ადასტურებდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ ხასიათის წიგნი პირველია მთელ საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა საქართველოში ჩაისახა და დიდი წარმატებით ვითარდება ოსური ენის მეცნიერული შესწავლა, მისი სულისჩამდგმელი კი გიორგი ახვლედიანი გახლდათ. ოსური ენა ერთ-ერთ ადგილზეა ინდოევროპულ ენათა ოჯახში. ეს ენა ინდოევროპული ენებიდან ყველაზე ადრე, ანუ ჩვენ ერამდე VII-VIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ოსური

ᲛᲔᲡᲚᲔᲗᲘ ᲭᲠᲘᲚᲝᲑᲔᲑᲡ ᲘᲨᲣᲨᲔᲑᲡ

ᲡᲢᲘᲥᲘᲐᲡ ვერც ახალციხის რაიონი გადაურჩა. წლევანდელი უამინდობა მართლაც არნახულია. 9 ივნისიდან მოყოლებული მთელ 4 დღეს გადაუღებლად წვიმდა. ადიდდნენ მდინარეები — მტკვარი, ურაველი, ფოცხოვი და მათი შენაკადები. დიდი ნალექების შედეგად 12 ივნისს დილის 9 საათისათვის წყლის დონე ფოცხოვში მეტრ-ნახევარს აღწევდა, წყლის ხარჯი მტკვარში 800, ხოლო ფოცხოვში 350 კუბურ მეტრს შეადგენდა წამში. ნორმალურ დონესთან შედარებით 6-ჯერ და მეტად ადიდდა ურაველა. უეცარმა წყალდიდობამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა რაიონის სახალხო მეურნეობას. დაიტბორა 30 ჰექტარი საზოგადოებრივი მეურნეობის სავარგულები, დაინგრა და დაზიანდა სოფელ მუსხის, ხეოთის, ურავლისა და მდინარე ლაშიხევის ხიდები ახალციხეში. მოვარდნილმა ღვარცოფმა დატბორა გაგარინის და ტიტოვის ქუჩებზე მდებარე საცხოვრებელი სახლები. დაზიანდა ქალაქის მთავარი წყალსადენი, ყველ-კარაქის ქარხნის საკანალიზაციო ქსელი. დატბორა ქალაქ ვალის 8-წლიანი სკოლის შენობა, ელექტროქვესადგური, რკინიგზის სადგური, საცხოვრებელი ბინები, საკარმიდამო ნაკვეთები. სოფელ სხვილისში წყალმა წალეკა და ქვაღორღით დაფარა საკარმიდამო ნაკვეთები. 15 სახლის სარდაფი გავსო წყლით. ნაწილობრივ დაინგრა დიატომიტის კარიერებთან დამაკავშირებელი გზა. ურავლის ზონის სოფლებთან შეწყდა სატელეფონო კავშირი და ელექტროენერგიის მიწოდება. მწყობრიდან გამოვიდა 6 სატუმბი სადგური, დატბორა აგარის საბჭოთა მეურნეობის გარაჟი, წყალმა წაიღო მდინარეთა ნაპირსამაგრი ჯებირი მთელ კილომეტრზე. თოვლმა და ხანგრძლივმა წვიმებმა საგრძნობი ზარალი მიაყენა საზოგადოებრივი ძოვრებზე მყოფ ფერმებს. დაინგრა 17 საწველი ფარდული, 36 დამხმარე სათავსო, ფერმის მუშაკთა საცხოვრებელი ბინები. ჩაიხერგა და მწყობრიდან გამოვიდა საზაფხულო იალაღებისაკენ მიმავალი გზები 165 კილომეტრზე. დაინგრა 15 ხიდი, რის გამოც ვერ ხერხდება რძის გადაზიდვა.

წინასწარი მონაცემებით, ზარალმა რაიონში 2 მილიონი მანეთი შეადგინა. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის.

განსაცდელის ჟამს რაიონის მცხოვრებნი მარტო არ იყვნენ — სტიქია ჯერაც ბობოქრობდა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. გლურჯიძე, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელი მუშაკები რომ ჩამოვიდნენ.

სტიქიური უბედურების წინააღმდეგ მებრძოლი შტაბის მიერ, რომელსაც პარტიის რაიკომის პირველი მდივანი შ. შანიძე ხელმძღვანელობს, ოპერატიულად იქნა მობილიზებული ტექნიკა და მუშახელი.

ბ. მოდებაძე,

რაიონული გაზეთის „წითელი დროშის“ განყოფილების გამგე.

ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘᲐ!

ᲛᲐᲘᲜᲪ, როგორ გვიმუთხლა დედაბუნებამ?!..

მარტო თელავის რაიონს 16 მილიონამდე მანეთის ზარალი მიაყენა სეტყვამ.

და ახლა, როცა რაიონის მშრომელები ყველაფერს ღონობენ ზარალის სალიკვიდაციოდ, ერთსულოვანი მხარდაჭერა პოვა აკურის კოლმეურნეობის № 4 ბრიგადის (ბრიგადირი — სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლოზ ქევხიშვილი) წევრთა მოწოდებამ რაიონის მშრომელებისადმი. ამ ბრიგადამ, რომლის ზურგიც სტიქიას გადაურჩა, ივაღდებულა მხარში ამოუდგეს იმათ, ვისი ვენახებიც ასე უღვთოდ დაისეტყვა, ხოლო თავის ნაკვეთებს მოუაროს სანიმუშოდ, გეგმის გადამეტებით მოიწიოს 50 ტონა ყურძენი, 15 ტონა ბოსტნეული და ბაღჩეული. ბრიგადის მიზანია ხარისხის გაუმჯობესებით გაზარდოს კილოგრამი ყურძნის ღირებულება 5-10 კაპიკით, არსებული რეზერვების მაქსიმალური გამოყენებით, მომჭირნეობითა და ყაირათიანობით, სულ ცოტა, 40 ათასი მანეთი დამატებითი შემოსავალი მისცეს კოლმეურნეობას. ბრიგადის ინიციატივას არა მარტო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები, არამედ წარმოებადაწესებულებებიც გამოეხმაურნენ. ინიციატივის მხარდაჭერა გაზრდილი ვალდებულებებით და შრომის ტემპის დაჩქარებით გამოხატეს რუისპირის, წინანდლის, კისისხევის, ვანთის, კონდოლის, სანიორისა და სხვა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა.



სტიქიით გამოწვეული ზარალის მინიმუმამდე შემცირების ღონისძიებებს მიეძღვნა რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელშაც გააანალიზა ზარალის სალიკვიდაციო სამუშაოთა მიმდინარეობა, გამოავლინა რეზერვები და შესაძლებლობები. აქვე გაირკვა, რომ რაიონის სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს, კერძოდ, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შესწევთ ძალა, შრომითი რესურსების მაქსიმალური მობილიზებით 5 მილიონი მანეთით გადაფარონ ზარალი.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი დევიზით: „მთელი ძალები სტიქიით გამოწვეული ზარალის შემცირებას!“.

ამოქმედ ქუდზე კაცი გასული რაიონის ველ-მინდვრებსა თუ ბაღ-ვენახებში. საზოგადოებრივი მეურნეობების მშრომელებს მხარში უდგანან წარმოება-დაწესებულებათა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სოფლისა და ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები.

დ. ᲒᲔᲠᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ,

„კომუნისტის“ სკ. კორ.

**ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲝᲛᲓᲔᲜᲔ... ᲖᲔᲓᲐᲖᲔᲓ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲔ ᲙᲝᲙᲘᲡ-ᲞᲘᲠᲣᲚᲐᲓ ᲬᲕᲘᲜᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲢᲘᲥᲘᲘᲡ ᲐᲡᲔᲗ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲗ ᲔᲚᲝᲓᲐ — ᲜᲐᲞᲘᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲓᲘᲜᲐᲠᲔᲛᲘ ᲛᲘᲓᲘᲜᲐᲠᲔᲛᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲐ ᲒᲖᲐᲖᲔ.. ᲐᲠ ᲓᲐᲘᲑᲜᲔᲡ ᲩᲝᲠᲓᲘᲡ ᲒᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲔ: ᲛᲐᲗ ᲐᲠᲐᲗᲣ ᲓᲘᲓᲫᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲮᲡᲜᲘᲚᲘᲡ, ᲓᲐᲜᲒᲠᲔᲣᲚᲘ ᲯᲔᲑᲘᲠᲘᲗᲘᲪ ᲐᲦᲓᲒᲜᲘᲡ, ᲗᲣ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲕᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲝᲛᲓᲔᲜᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲕᲘᲜᲕᲐᲚᲘ ᲓᲦᲔ